სტატიები

მანანა დარჩაშვილი •

საქართველოს პოლიტიკური პარტიები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში: საპროგრამო დოკუმენტების შედარებითი ანალიზი

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია 2024 წლის საპარლამენტო საარჩევნო პროცესი საქართველოში, პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დოკუმენტები მთელი რიგი მნიშვნელოვანი მახასიათებლებით. ამასთან არკვევს, თუ რამდენად ორიენტირებულია თითოეული ბარიერგადალახული საარჩევნო სუბიექტი თავის საპროგრამო დოკუმენტებში მოიცვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, თუ შეზღუდულია და აქცენტს აკეთებს მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე. ამავე დროს, კვლევა ორიენტირებულია იმის გარკვევაზეც, თუ რამდენად სთავაზობს პოლიტიკური სუბიექტი მოსახლეობას ამა თუ იმ საკითხის, საზოგადოებრივი პრობლემების კონკრეტული გადაწყვეტის მექანიზმებს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტების მიერ ფიქსირებული საარჩევნო დაპირებების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამებში არსებული დაპირებები, მათი განხორციელების მექანიზმები საკმაოდ ბევრ კითხვებს ბადებდა და სადავოდ მიიჩნეოდა. ამასთან, წინასაარჩევნო პლატფორმების ანალიზმა ცხადყო, რომ უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკური სუბიექტები ერიდებოდნენ პროგრამაში ფიქსირებული დაპირებების შესრულების კონკრეტულ გზებზე საუბარს, რაც პოლიტიკურ სუბიექტთა სიფრთხილითა და საზოგადოებრივი ანგარიშგების ნაკლებობით შესაძლებელია აიხსნას.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პოლიტიკა, არჩევნები, პარტიები, პროგრამები, საარჩევნო სუბიექტები, დაპირებები.

შესავალი

საქართველოში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მრავალპარტიული სისტემა დამკვიდრდა. ქვეყნის პოლიტიკურ რუკაზე პერიოდულად სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები ჩნდებიან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ დინამიურია.

წარმოდგენილი ნაშრომი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს, პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო პროგრამებში დაფიქსირებული სამოქმედო ხედვებს, გეგმებისა და წარდგენილი ინიციატივების ანალიზს ეხება, რომლის აღსრულებასაც ჰპირდებოდნენ პარტიები ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საზოგადოებას. ამასთან, იმის დადგენასაც, არის თუ არა კავშირი პარტიულ პროგრამებსა და არჩევნებში პარტიის გამარჯვების შესაძლებლობას შორის და თუკი ასეთი კორელაცია არსებობს, რამდენად მაღალია ის.

კვლევის ჩატარებისას 2024 წლის საარჩევნო ციკლში პოლიტიკური სუბიექტების შერჩევა წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული აქტივობების, საარჩევნო ბარიერგადალახული, ასევე სხვებთან შედარებით მეტი შესაძლებლობის მატარებელი პოლიტიკური პარტიების საფუძველზე განისაზღვრა.

პოლიტიკური პარტიების პროგრამების კვლევა, რომელიც საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე მნიშვნელოვანი შედეგებით ხასიათდებოდა. პოლიტიკური პარტიების მანიფესტების შემსწავლელი ერთ-ერთი ცნობილი კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელის, ჰანს დიტერ კლინგემანის (Klingemann, Hofferbert, Budge,1994) განმარტებით, საარჩევნო პროგრამები

პარტიების ოფიციალურ ხედვას წარმოადგენს და გარდა შიდაპარ-ტიული თანხმობის მიღწევისა ასრულებს პლატფორმებში ფიქსირე-ბული განაცხადების მეშვეობით ამომრჩეველთა მოზიდვისა და სა-ბოლოოდ არჩევნებში გამარჯვების ფუნქციას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ისტორიული, შედარებით ანალიზთან ერთად პოლიტიკურ პარტიების კვლევებ-ში აპრობირებული მეთოდი - კონტენტ-ანალიზი შევარჩიეთ. წინა-საარჩევნო პერიოდში, არსებობდა პოლიტიკური სუბიექტების პრო-გრამები ნაბეჭდი სახით. პოლიტიკური პარტიების პროგრამების მოცულობა კი იძლევა შესაძლებლობას ტექსტური მასალა, ზოგი-ერთ შემთხვევაში, გადმოვცეთ რაოდენობრივ მაჩვენებელშიც, რათა უფრო ზუსტად მოვახდინოთ ამა თუ იმ მახასიათებლის სიხშირის დათვლა. პოლიტიკური პროცესების სიტუაციური ანალიზის მე-თოდის გამოყენებით, შესაბამისი დოკუმენტების, ემპირიული მა-სალის შესწავლით, აღწერილი და წარმოდგენილია საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ჩართულობა საპარლამენტო ორგანოს არჩევნებში. განხილულია - არსებული პოლიტიკური ვი-თარება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, პარტიების წინასაარჩევნო დოკუმენტები, პროგრამები, რადგან საქართველოში ბოლო პერიოდში როგორც ხელისუფლებისთვის, ისე საზოგადო-ებისთვის მუდმივი ინტერესის საგნად იქცა პარტიული დაპირე-ბები, მათი აღსრულების შესაძლებლობები. ამ მხრივ ყურადღება გამახვილებულია ქართული არჩევნების გამოცდილების ძირითად მახასიათებლებზე, საერთო დინამიკაზე, დროთა განმავლობაში გა-მორჩეულ სპეციფიკაზე, წინასარჩევნო პროცესის ტრანსფორმაციის შესწავლაზე.

აუცილებელია აღინიშნოს, პარტიების საპროგრამო პრიორი-ტეტების შესწავლისას სხვადასხვა მასალებთან ერთად, ნიდერლან-დების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარ-გლებში partiebi.ge გამოქვეყნებული მასალების მნიშვნელობა

(EECMD, 2024). რაც საზოგადოების ინფორმირებისათვის, შედარებისათვის და მკვლევართა დაკვირვებისათვის, შედარებითი ანალიზის წარმოდგენისთვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა. EECMD-ს ამ პროექტში მონაწილეობის მიღება ყველა საარჩევნო პოლიტიკურ სუბიექტს შეუძლია. ეს ინიციატივა საშუალებას აძლევთ პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებამდე გაგზავნილი კითხვარის საშუალებით ჩამოაყალიბონ ქვეყანაში არსებულ მთავარ გამოწვევებზე საკუთარი ხედვები/მიდგომები. მართალია, საარჩევნო სუბიექტები თავის საპროგრამო დოკუმენტებს ბეჭდური სახით და ელექტრონულადაც აქვეყნებენ, მაგრამ ამ პროექტის სახით უკეთესია შედარება, მეტი შესაძლებლობაა, კონკრეტული საკითხის მიმართ აზრის დაფიქსირებისა. ვებ-პლატფორმა საშუალებას იძლევა უფრო მარტივად მოხდეს შედარება პოლიტიკური კონკურენტების პასუხებისა ერთსა და იმავე საკითხზე (აქვე დავძენთ, რომ პოლიტიკურმა სუბიექტმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ #5 საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა ამ პროექტში).

წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარება საქართველოში

საქართველოსთვის, როგორც გაერო-ს წევრი ყველა ქვეყნისთვის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულია, რომ “ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ექვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით” (UN, 1949).

საყურადღებოა, რომ საქართველოში არსებული კანონმდებლობით პოლიტიკური გაერთიანებების დაფუძნება რაიმე სერიოზ-

ულ დაბრკოლებებს არ აწესებს. საქართველოს მოქალაქეთა უფლება "შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში" კონსტიტუციური გარანტიაა (საქართველოს პარლამენტი, 1995) და მისი ფუნქციონირების წესები ჩამოყალიბებულია საქართველოს ორგანულ კანონში "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" (საქართველოს პარლამენტი, 1997). საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების შექმნა-ფუნქციონირებას და მათ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვას.

ნაშრომი აქტუალობასთან ერთად მნიშვნელოვანიცაა, რადგან ინტერესი, როგორც ადგილობრივ დონეზე ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, ძალიან დიდია. ფაქტია, კონკურენტული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბება, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და სრულყოფისათვის ზრუნვა დღესაც გრძელდება. საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებია.

საქართველოში ოფიციალური 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანია ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში დაიწყო. სიტუაციას მართველი გუნდის - „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ლიდერების დანაპირები საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში, ძირითადი ოპოზიციური გაერთიანებების ანტიკონსტიტუციურად გამოცხადების დაპირება ამძაფრებდა. დაპირისპირებას ხელი შეუწყო 2024 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის მიღებამ. აღნიშნულ კანონს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკა მოჰყვა

მათი შეფასებით კანონი ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ევროპულ და დემოკრატიულ განვითარებას (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2024), თუმცა, მართველი გუნდი აღნიშნულს უარყოფდა („ქართული ოცნება“, 2024).

ნაშრომი მცდელობაა ობიექტურად წარმოადგინოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ჩართულობა, წინასაარჩევნოდ შეთავაზებული საპროგრამო წინადადებების შედარებითი ანალიზი, არჩევნების ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც მიმდინარე პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხია. ნაშრომში შესასწავლ პარტიებად შევარჩიეთ და წარმოდგენილია 5 საარჩევნო ბარიერგადალახული პარტია (სულ 19 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. ამომრჩევლების რაოდენობა ერთიან სიაში (14.10.2024 მონაცემებით), 3,495,789, ქალი - 1,866,323, კაცი-1,629,466 იყო), კერძოდ: “კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ (#4, მიღებული ხმების რაოდენობა 229 161, 11.03%, მიღებული მანდატების რაოდენობა 19), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (#5, მიღებული ხმების რაოდენობა 211 216, 10.17%, მიღებული მანდატების რაოდენობა 16), „ძლიერო საქართველო - ლელეო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ (#9, მიღებული ხმების რაოდენობა 182 922, 8.81%, მიღებული მანდატების რაოდენობა 14), „გახარია საქართველოსთვის“ (#25, მიღებული ხმების რაოდენობა 161 521, 7.78%, მიღებული მანდატების რაოდენობა 12), „ქართული ოცნება“ (#41, მიღებული ხმების რაოდენობა 1 120 053, 53.93%, მიღებული მანდატების რაოდენობა 89).

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევო დაპირებები

ნაშრომში სექტორალური დაყოფისას ყურადღება გავამახვილეთ ქვეყნისთვის ისეთ აქტუალურ, მნიშვნელოვან (თუმცა ასეთი მრავლად იყო) საკითხებზე როგორიცაა: საგარეო პოლიტიკის სა-

კითხი, გარემოს დაცვის საკითხი, განათლების საკითხი და ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხი.

საგარეო პოლიტიკის საკითხი

საერთოდ, ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება. ზრუნვა და განსაზღვრა სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორების, სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის დამყარება-განმტკიცება. სწორედ ამიტომ, როგორც წესი ამ საკითხს განსაკუთრებული ადგილი უკავია პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო დოკუმენტებში.

აღნიშნულ საკითხზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, თავის მოკლე დაპირებათა ნუსხაში - „ერთიანობის 5 პრიორიტეტი“ პირველ ადგილს უთმობს და აღნიშნავს საკითხთან დაკავშირებული 3 საჭირო მიდგომის შესახებ, ესაა: 1. ევროკავშირის პასპორტი და 14 მილიარდიანი ევროპული მხარდაჭერა ქვეყნის აღმშენებლობისთვის; 2. უვიზო მიმოსვლა აშშ-სთან; 3. ევროკავშირის ზედამხედველობით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური („ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“, 2024).

“კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“, მათი სისტემური ცვლილებების ოთხი ძირითადი მიმართულებიდან პირველი ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნაა. ისინი ხელისუფლებაში მოსვლიდან ოთხ დღეში აპირებდნენ ევროკავშირისთვის მიმართვას, მოლაპარაკებების დაწყების ინიციატივით გამოსვლას წევრობის შესახებ. მათთვის ქვეყნის კეთილდღეობა, მისი მომავალი ევროკავშირის წევრობასთან ასოცირდებოდა. კერძოდ, უსაფრთხოებასა და მშვიდობასთან, ევროპულ განათლებასთან, ჯანდაცვასთან, ეკონომიკის განვითარებასთან. ისინი ფიქრობდნენ, რომ საქართველო 2030 წელს ევროკავშირის წევრი გახდება. ისინი აქტიური მუშაობის დაწყებას გეგმავდნენ აშშ-სთან უვიზო მიმოსვლისათვის, თავისუფალი ვაჭრობისათვის, აცხადებდნენ, რომ სა-

ქართველო იქნებოდა მსოფლიოში მე-5 სახელმწიფო, რომელსაც ექნებოდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აშშ-სთან, ევროკავშირთან, ჩინეთთან. ამასთან, გეგმავდნენ, რომ საქართველოს დაუბრუნდებოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის პოტენციალის რეალიზებით, მისი ისტორიული როლი - საქართველო გახდება ერთადერთი უსაფრთხო და არასანქცირებული დერეფანი ევროპასა და აზიას შორის ("კოალიცია ცვლილებისათვის" #4, 2024).

პოლიტიკური გაერთიანება - „ძლიერი საქართველო - ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის" (ძლიერი საქართველო ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის, 2024) თავისი წინასაარჩევნო გეგმაში „ილიას გზა", რომელიც სამ მთავარ დაპირებას მოიცავს, პირველ ადგილს იკავებს „ევროპული მომავალი და ევროკავშირის წევრობა", სადაც აღნიშნულია, მოკლე დროში ევროკავშირში გაწევრიანება; ევროკავშირიდან საქართველოს მიმართ არსებული 9 რეკომენდაციის სწრაფად შესრულება. აღნიშნულია ის შესაძლებლობები, რასაც საქართველო მიიღებდა გაწევრიანებამდე და მას შემდეგ. განიხილავდნენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რაც საქართველოს საშუალებას მისცემდა წარმოდგენილი ყოფილიყო, როგორც გლობალური მომარაგების მნიშვნელოვანი კვანძი. საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პოტენციალს ეფექტურად გამოიყენებდა. ქვეყანას ექნებოდა უვიზო მიმოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თავისუფალი ვაჭრობა აშშ-თან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ბრაზილიასთან. საქართველოს მეზობლებთან არსებული სავაჭრო რეჟიმი შენარჩუნდებოდა.

„გახარია საქართველოსთვის" პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველოს საგარეო პრიორიტეტები გამომდინარეობს ეროვნული ინტერესებიდან და ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას გულისხმობს, სადაც უზრუნველყოფილია ქვეყნის სუვერენული,

მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარება. "გახარია საქართველოსთვის" გუნდი მაქსიმალურად სწრაფ ვადებში გეგმავდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ევროკავშირის წევრობას ისინი ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები, ასევე დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისათვის მშვიდობიანი რეინტეგრაციის საუკეთესო გზად მიიჩნევდნენ. ევროკავშირის პარალელურად, ისინი საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად გააქტიურებას გეგმავდნენ. ამასთან, მათი ამოცანა იყო ალიანსში გაწევრიანება "გაწევრიანების სამოქმედო გეგმის" (MAP) გარეშე, როგორც იყო ეს ფინეთსა და შვედეთში.

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება" (სააგიტაციო გაზეთი, 2024), მმართველი გუნდი, საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, ეროვნულ ამოცანად აშშ-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გადატვირთვას მიიჩნევდნენ. აცხადებდნენ, რომ არ მოსწონდათ იმ ჟამად არსებული ურთიერთობა. გეგმავდნენ ისეთი ნაბიჯების გადადგმას რომ მომხდარიყო ურთიერთობების გადატვირთვა და იმედს იტოვებდნენ, რომ ეს მომავალ წელს, უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ მოხდებოდა. თანამშრომლობის პრიორიტეტებიდან აღსანიშნავია: ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავება; ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა, რომელსაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით; სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობების და სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებას და გაღრმავებას გეგმავდნენ; საჭიროდ თვლიდნენ პრაგმატული პოლიტიკას და რუსეთთან კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას.

გარემოს დაცვის საკითხი

თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის დღის წესრიგი, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ (სხვადასხვა მიმართულებით) დონეზე, ღონისძიებათა მთელ რიგ სისტემას მოიცავს, რომელიც

მიმართულია ბუნებასთან ჰარმონიზაციაზე, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების დაცვა-აღდგენის ზრუნვაზე. ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, თავის საპროგრამო დოკუმენტებში მართალია გარკვეულ ადგილს უთმობენ ბუნებრივ გარემოს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი საერთოდ თავს იკავებს, არ ახსენებს აღნიშნულს. თუმცა, საზოგადოების დაინტერესება ამ საკითხისადმი ძალიან დიდია, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (შოვის ტრაგედია) გააქტიურა მიდგომა, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება.

თანამედროვე ქართული პოლიტიკა მოტივირებულია, რომ გარემოსდაცვითი ეროვნული პოლიტიკის ფორმულირება მოხდეს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნილებების შესაბამისად, თუმცა, შესასწავლი პოლიტიკური სუბიექტებიდან ორი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“) საერთოდ არ განიხილავდა აღნიშნულ საკითხს. თუმცა, სხვა დანარჩენი სუბიექტები საკმაოდ საჭიროდ და აუცილებლობად მიიჩნევენ გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაძლიერებას ქვეყნის სტიქიური მოვლენების პროგნოზირების, პრევენციის, ზიანის შემცირებისთვის. (იხ სქემა #1).

„ძლიერი საქართველო - ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ თავის საპროგრამო დოკუმენტში 9 ძირითადი სამიზნე საკითხიდან ერთ-ერთი სწორედ „გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური უსაფრთხოებაა“, ამასთან, ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს როგორიცაა: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების მართვას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას; ეროვნულ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების პროგნოზირების, შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიისა და ღონისძიებათა გეგმის შემუშავებაში საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფას; მდგრადი განვითარების ხელშეწყობა - ბუნებრივი რესურსების მკაცრი კონტროლი და რაციონალური

გამოყენება; „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების პირობებში, მომავალი თაობებისათვის სათანადო ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და განვითარება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად; საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას გარემოსდაცვით ღონისძიებებში; საქართველო, როგორც ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო პროდუქტის მწარმოებელი ქვეყანას (ამ ნაწილში განხილულია ნიადაგის კვლევა, სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიურად უსაფრთხო დამხმარე საშუალებების გამოყენების ხელშეწყობა და სხვა); გარემოზე ადამიანის მიერ გამოწვეული, უარყოფითი გავლენის შემცირება (ჰაერის დამაბინძურებელი ფაქტორების შემცირება, საწვავის ხარისხის კონტროლი, სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დანერგვა და კონტროლი და სხვა); შავი ზღვა, როგორც საზღვარი ევროკავშირთან, ეს მიმართულება მოიცავდა შავი ზღვის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების პროცესში, ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნება და განვითარებას, ასევე მასთან დაკავშირებულ საკითხებს; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტროს, როგორც სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი უწყების გაძლიერებას; კლიმატის ცვლილებებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დაჩქარება და საზოგადოებრივი მონიტორინგი, რაც ბუნებრივია მოიაზრებდა საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის გაძლიერებას ევროკავშირის ქვეყნებთან, კანონმდებლობასთან დაახლოვებას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო პროექტებში აქტიური მონაწილეობის მიღებას (ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის, 2024).

პოლიტიკური სუბიექტი - „გახარია საქართველოსთვის“ პროგრამაში ეკონომიკური განვითარების პროცესში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და მათ

მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მათი ხედვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის, მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას: ბუნებრივი რესურსების მართვის სამართლიან და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა - გარემოსდაცვითი მექანიზმების გაფართოვება; განახლებადი ენერგიის წყაროების ინფრასტრუქტურის განვითარება, მწვანე ინდუსტრია და ინოვაციები - მწვანე „სტარტაპ“ პროექტების მხარდაჭერა, მდგრადი ურბანული პოლიტიკა - მათ შორის კანონი მწვანე სივრცეებზე მოქალაქეების უფლების შესახებ, ნარჩენების მართვა და სხვა. პოლიტიკური გაერთიანება გარემოსდაცვითი ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით მთელ რიგ ღონისძიებებს გეგმავდა. აპირებდა, რომ შეექმნა გარემოს ეროვნული სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობა, რაც განსაკუთრებულ კავშირშია ბუნებრივი კატასტროფების სისტემის გამართვასთან, მოიაზრებდა კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერებას. გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ზრდისთვის ისინი მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას გეგმავდნენ. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში, პარტიის მიდგომა ითვალისწინებდა 3 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას: ტყისა და ბიომრავალფეროვნების, კლიმატისა და ენერგეტიკული პოლიტიკისა და ურბანული განვითარების მიმართულებებს.

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ გეგმავდა ადრეული გაფრთხილების სისტემებზე მუშაობის სრულად დასრულებას, ქვეყანას ექნებოდა თანამედროვე სტანდარტების ადრეული გაფრთხილების სისტემები. დაცული ტერიტორიების ფართობი გაიზრდებოდა. აღდგებოდა და გაშენდებოდა ტყეები. დიდ ქალაქებში, თბილისისა და რუსთავისთვის, მოწესრიგდებოდა დაბინძურების საკითხები. შემცირდებოდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი და აქტიურად გაგრძელდებოდა მუშაობა ამ მიმართულებით.

სქემა #1



განათლების საკითხი

საერთოდ საქართველოში ყველა დროის პოლიტიკურ პარტიებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული განათლების როლი ქვეყნის მომავლისათვის. თანამედროვე ეტაპზეც არჩევნებში გამარჯვებული პარტიები (გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა) განათლების პოლიტიკას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ, რადგან წარმატებული სახელმწიფოს შენების პროცესში განათლების ფაქტორს მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. ფაქტია, რომ მათ მიერ განათლების სხვადასხვა საფეხურზე საკითხის დაყენება და სხვადასხვა ინიციატივა მიმართული იყო განათლებული და კონკურენტუნარიანი თაობების მისაღებად, დაგეგმილი ყველა ნაბიჯი ქვეყანაში განათლების სისტემის განვითრების განხორციელებისკენ იყო მიმართული, რათა მიღებული შედეგით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებით უზრუნველყოფილიყო ქვეყნის საგანმანათლებო სფერო.

„ძლიერი საქართველო - ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ თავის საპროგრამო დოკუმენტში აცხადებდა, რომ „ძლიერი ქართული განათლება = ევროპულ განათლებას“ და საჭიროდ მიიჩნევდა: ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლამდელი, სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურებზე; სახელისუფლებო და პარტიული წნეხისგან სისტე-

მის გათავისუფლებას რეალური დეცენტრალიზაციით და საზოგადოების თანამონაწილეობით; ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას ყველასთვის - გამართული ინფრასტრუქტურით, დაფასებული პედაგოგიური პერსონალით, სასკოლო კვების სისტემის შექმნით და სტუდენტური საცხოვრისის უზრუნველყოფით. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებდა საქართველოს განათლების სისტემის ორ დიდი გამოწვევას ა) განათლების ხარისხს და ბ) განათლების ხელმისაწვდომობას. დეტალურად ჰქონდათ ყველა კომპონენტი პროგრამაში გაწერილი, შესაბამისად მათ პროგრამაში განათლების საკითხს მნიშვნელოვანი, ვრცელი ადგილი ეკავა.

„კოალიცია ცვლილებისთვის - ახალი, დროა, გირჩი-მეტი თავისუფლება“ თავის საპროგრამო დოკუმენტებში - შვილების ბედნიერ და წარმატებულ მომავალს თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლებას უკავშირებდნენ. 2028 წლისთვის განათლების სფეროს დაფინანსების სამჯერ გაზრდას გეგმავდნენ, რათა მომხდარიყო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან მიღწევა. ეს კი მოიაზრებდა, რომ ყველა ბავშვს ექნებოდა საკუთარი საგანმანათლებლო დეპოზიტი - “ცოდნის ყულაბა”, რომელიც საბავშვო ბაღის ასაკიდანვე მოყოლებული მის განათლების დაფინანსებაზე იქნებოდა გათვლილი და თანხის განკარგვა მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის იქნებოდა შესაძლებელი. დაფინანსებული უმაღლესი განათლება - “ცოდნის ყულაბა” მოიაზრებდა საუნივერსიტეტო საფეხურზე საგანმანათლებლო მიზნებს, რაც გამოიხატებოდა მთელი რიგი მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობაში; აღნიშნავდნენ მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლებასაც - დასაქმების გარანტიით; ამასთან, განათლების სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი და დეცენტრალიზებული უნდა ყოფილიყო.

„გახარია საქართველოსთვის“ პროგრამაში განათლების საკითხთან მიმართებაში აღნიშნულია, რომ განათლება ქვეყნის, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის განვითარებისათვის

ფუნდამენტურ საფუძვლებს ქმნის და ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ჩამოყალიბდეს თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქალაქედ. ხარისხიანი განათლების მეშვეობით, მოქალაქეს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია პირადი, საზოგადოებრივი, ქვეყნის კეთილდღეობის შექმნაში. პროგრამაში განათლების ხარისხზე მსჯელობისას იგულისხმებოდა ყველა საფეხური - სკოლამდელიდან უმაღლეს განათლების ჩათვლით. მათი ხედვა ეფუძნებოდა ხარისხიანი განათლების, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და განათლების ხელმისაწვდომობის 3 ძირითად სვეტს, კერძოდ 1. ხარისხიანი განათლებას; 2. განათლების ინფრასტრუქტურას და ინკლუზიური გარემოს; 3. განათლების ხელმისაწვდომობას და მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფას.

პოლიტიკური გუნდის მიზანი, ისეთი საგანმანათლებლო მოდელის შექმნა იყო, რომელიც უზრუნველყოფდა ხარისხიან და ინკლუზიურ განათლებას, რომელიც ხელს შეუწყობდა კრიტიკული აზროვნებას, შემოქმედებითობას, სამოქალაქო ცნობიერების, პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფდა აკადემიურ, სოციალურ ზრდას და ცხოვრების მანძილზე სწავლისა და გადამზადების შესაძლებლობას (25 გახარია საქართველოსათვის, 2024).

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ მომდევნო ოთხწლიანი პროგრამის ფარგლებში გეგმავდა: საპატრიარქოს საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის გაგრძელებას; 500-ზე მეტი სკოლის მშენებლობას და რეაბილიტაციას; 200 მლნ ლარით იგეგმებოდა პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა-რეაბილიტაცია; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაგეგმილი იყო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაფართოვება 20,000 სტუდენტისთვის. ქ. რუსთავის მიმდებარედ დაიგეგმა ახალ კამპუსის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, რომელიც იქნებოდა უზრუნველყოფილი თანა-

მედროვე სასწავლო და სპორტული ინფრასტრუქტურითა და საერთო საცხოვრებლებით (იხ სქემა #2).



ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი საარჩევნო წელი მეტად ხმაურიანად მიმდინარეობდა, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ფართო განსჯისა და დაპირისპირების საგანად იქცა, ქვეყანაში გენდერული კვოტის გაუქმების შესახებ კანონის მიღება იყო.

საქართველოში ბოლო წლებში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხზე მსჯელობა მეტად გააქტიურებულია. ყველა საარჩევნო ციკლში საპარლამენტო თუ ადგილობრივ არჩევნებს წინ უძღოდა გამალებული მსჯელობა ქალთა პოლიტიკაში წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ისიცაა, რომ საქართველოს პარლამენტმა (04.04.2024) გენდერული კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილება მიიღო (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024). ცვლილების თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს აღარ ექნებოდათ ვალდებულება, რომ საარჩევნო სია გენდერული კვოტირების მოთხოვნების შესაბამისად დაეკომპლექტებინათ. საარჩევნო კოდექსის წინა

ფორმულირებით, პარტიათა სიაში ყოველი ოთხიდან ერთი კანდიდატი ქალი უნდა ყოფილიყო.

კანონპროექტის ინიციატორების განმარტებით, კვოტირების გაუქმება თანაბარ პირობებს შექმნიდა, ქალები და მამაკაცები გათანაბრებულები იქნებოდნენ უფლებრივად.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო პროცესში არსებული დაძაბული ვითარების გათვალისწინებით, ვფიქრობთ პარტიებს წინასაარჩევნო დაპირებებში სავარაუდოდ უფრო ვრცელი განაცხადები უნდა გაეკეთებინათ ქალთა მონაწილეობის შესახებ. ამას ამძაფრებდა პარლამენტთაშორისი კავშირის (IPU) მონაცემები, რომლის მიხედვითაც ქალთა პარლამენტში წარმომადგენლობის მიხედვით საქართველო 128-ე ადგილზეა 191 ქვეყანას შორის. გასაოცარია, რომ შესასწავლი პარტიებიდან აღნიშნულ საკითხზე მხოლოდ ორი სუბიექტი - „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ და „გახარია საქართველოსათვის“ აღნიშნავს, თუმცა, მათი განაცხადიც ძალიან მშრალი გამონათქვამით შემოიფარგლება. კერძოდ, პირველ შემთხვევაში „ქალთა პოლიტიკური გაძლიერება - მეტი ქალი ქვეყნის მართვის სადავეებთან!“ და მეორე შემთხვევაში, პოლიტიკური სუბიექტი - „გახარია საქართველოსთვის“ საერთოდაც ძალიან ზოგადი მიდგომით „თავისუფალი, სოლიდარული საზოგადოების მშენებლობაზე“ აკეთებდა აქცენტს. ფაქტია, რომ მართალია „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების დროს ფართო გამოხმაურება მოჰყვა გენდერული კვოტირების გაუქმებას, მაგრამ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებში ამაზე აღნიშვნა ნაკლებად გაკეთდა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, პოლიტიკური სუბიექტების მიერ ფიქსირებული საარჩევნო დაპირებები, კონკრეტულად კი მათი განხორციელების მექანიზმები საკმაოდ ბევრ კითხვებს ბადებდა და სადავოდ მიიჩნეოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირი იყო რიგი საზოგადოებრივი პრობლემის საერთოდ იგნორირება. მსგავს, პოლიტიკური პარტიების მხრიდან ნაკ-

ლები ყურადღების მქონე სფეროთა შორის, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს: დემოგრაფია. კერძოდ, აპირებთ თუ არა, გაატაროთ რაიმე სახის პოლიტიკა დემოგრაფიული სურათის (შობადობის კლება, მასობრივი ემიგრაცია და სხვა) გასაუმჯობესებლად? არცერთმა სუბიექტმა არ უპასუხა. ასევე უპასუხოდ დარჩა სხვა არაერთი კითხვაც: საგზაო უსაფრთხოებაზე, უკრაინელი ლტოლვილებზე, ასოცირებული ტრიოს ფორმატზე და სხვა.

დასკვნა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტთა საპროგრამო დოკუმენტების შესწავლა შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა:

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებით დაინტერესება ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ განპირობებული იყო, პირველ რიგში, იმ დაძაბული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წინააღმდეგობებით, რომელიც წინ უძღოდა საპარლამენტო არჩევნებს.
- 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, იმდენად დიდი იყო დაპირისპირება, პოლარიცაზაციის უმაღლესი ხარისხით, რომ სხვა საარჩევნო ციკლებთან შედარებით, პარტიული პროგრამული დოკუმენტების, ე.წ. პარტიული პლატფორმების როლი და მნიშვნელობა აღარ ჩანდა. მიუხედავად საზოგადოების მხრიდან ინტერესისა, იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკურ პარტიებს საზოგადოებრივ პრობლემებზე აქცენტები გაეკეთებინა და მასზე კონკრეტული გადაწყვეტის გზები შეეთავაზებინათ, კეთდებოდა (ისიც დაგვიანებით, მცირე გამონაკლისის გარდა) მოკლე განაცხადები და პრეზენტაციები.
- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ძირითადი პოლიტიკური სუბიექტები, ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულნი "შეჯიბრის" რეჟიმში მუშაობდნენ, არ ჩქარობდნენ წინასაარჩევნო პროგრამების გამჟღავნებას. თუმცა, მნიშვნელოვანია

ისიც, რომ საპროგრამო ხასიათის მასალების რეკლამირებისას (“შეჯიბრებითობა” აქაც იგრძნობოდა) მათ ასეთი ქმედება წლის დამდეგსვე დაიწყეს.

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, წინასაარჩევნო პროცესში და მანამდეც, ადგილი ჰქონდა ქუჩის აქციებს.
- 2024 წლების საპარლამენტო არჩევნებში, ჩვენს მიერ შესასწავლმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა (გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“) ყველამ მიიღო მონაწილეობა და თავისი მოსაზრებები დააფიქსირა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში partiebi.ge გამოკითხვაში. მათ მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო მიდგომები საზოგადოებრივი პრობლემებსა და მათი მოგვარების კონკრეტულ შესაძლებლობებს შეიცავდა.
- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საპროგრამო დოკუმენტების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნიდერლანდის მხარის აქტიური ჩარევისა და მხარდაჭერის საფუძველზე (partiebi.ge), 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილ პლატფორმებს არაერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდა (განსხვავებით წინა საარჩევნო პლატფორმებისგან), კერძოდ თემატური დაყოფა გაცილებით გართულდა და მოითხოვა სპეციალური მიდგომა მუშაობისას.
- რაც შეეხება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მისთვის კოდური სიტყვების რაოდენობა 5 ძირითადი პრიორიტეტით განისაზღვრა. კერძოდ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აქცენტს აკეთებდა: კი ევროპას, შემოსავლების ზრდა, პენსიონერების დაცვა, ძლიერი ოჯახი, ფასების მაფიის დასრულება.
- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, (როგორც აქამდე) კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ლიდერის, პიროვნების ფაქტორი, რაც დასტურდება იმით, რომ ძლიერი ლიდერის არარსებობის პირობებში, სერიოზული ოპოზიციური გაერთიანების ფორმირების არაერთი წამოწყება უშედეგოდ დასრულდა. აღნიშნულს

ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნო პროგრამების არსებობის პირობებშიც კი საარჩევნო სუბიექტები ამომრჩეველთა მოსაზიდად მეტწილად პიროვნების ფაქტორით და არა საპროგრამო დოკუმენტებით ხელმძღვანელობდნენ.

- 2024 წლის წინასაარჩევნო პლატფორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკური სუბიექტები სიფრთხილით ეკიდებოდნენ პროგრამაში ფიქსირებული დაპირებების შესრულების კონკრეტულ გზებსა და ვადებზე საუბარს, რაც პოლიტიკურ სუბიექტთა სიფრთხილითა და საზოგადოებრივი ანგარიშგების ნაკლებობით შესაძლებელია აიხსნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Klingemann, H-D, Richard I. Hofferbert, and Ian Budge. 1994. *Parties, Policies, and Democracy (Theoretical Lenses on Public Policy), Publisher: Westview Press; 1st edition (September 1, 1994)* https://www.amazon.com/Parties-Policies-Democracy-Theoretical-Lenses/dp/0813320690, *ნანახია 10.12.2024*
2. EECMD, 2024, COMPARE ELECTORAL PROGRAMS BY TOPIC, ამომრჩეველთა ვებ გვერდი, https://partiebi.com/2021/eng/home,
3. United Nations (UN), (1949), United Nations Universal Declaration of Human Rights 1948, https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/act3.pdf, ნანახია 10. 09. 2024
4. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია, 1995წ. მუხლი 23.
5. საქართველოს პარლამენტი, 31/10/1997, საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=44,
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში", https://www.gyla.ge/files/55_geo.pdf , ნანახია 09.10. 2024
7. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 25 ივნისი, 2024, „2024 წლის საპარლამენტო

არჩევნების წინა პერიოდის გარემოს შეფასება“, გვ. 4. https://drive.google.com/file/d/1drcC1rOFynR7XCxHuHNdChT7k4rybFKs/view, ნანახია 12. 11. 2024

8. „ქართული ოცნება“, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, ინტერპრესნიუსი, პოლიტიკა, 03.05.2024 / 20:29 https://www.interpressnews.ge/ka/article/798207-kartuli-ocneba-ucxouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesaxeb-kanonproekttan-dakavshirebit-gancxadebas-avrcelebs/ ნანახია 10.11.2024წ.
9. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პროგრამა, ერთიანობის 5 პრიორიტეტი, 02.10.2024, https://www.interpressnews.ge/ka/article/814751-ertianoba-nacionaluri-mozraobis-saarchevno-programa/, ნანახია 10.10.2024
10. “კოალიცია ცვლილებისათვის” #4, 2024, მომავალი შენია, ახალი, გირჩი - მეტი თავისუფლება, დროა. 2024. https://4change.ge/static/pdf/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.pdf, ნანახია 10.12. 2024წ.
11. „ძლიერი საქართველო ლელო, ხალხისთვის, თავისუფლები-სთვის“, 2024, საარჩევნო გეგმა #9, ილიას გზა. 2024, გვ.5. https://dzlieri9.ge/wp-content/uploads/2024/10/ilias-gza_sabetchdi.-tirazh-500-compressed.pdf, ნანახია 16.12. 2024წ.
12. „ძლიერი საქართველო ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“, 2024, საარჩევნო გეგმა #9, ილიას გზა. 2024, გვ. 17-19, https://dzlieri9.ge/wp-content/uploads/2024/10/ilias-gza_sabetchdi.-tirazh-500-compressed.pdf, ნანახია 16.12. 2024წ.
13. 25 გახარია საქართველოსათვის, 2024, ღირსეული ცხოვრების მანიფესტი, საარჩევნო პროგრამა 2024, გვ. 24 file:///C:/Users/PC/Downloads/Manifesto.pdf ნანახია 27. 12. 2024
14. 25 გახარია საქართველოსათვის, 2024, ღირსეული ცხოვრების მანიფესტი, საარჩევნო პროგრამა 2024, გვ. 21, file:///C:/Users/PC/Downloads/Manifesto.pdf ნანახია 27. 12. 2024
15. სააგიტაციო გაზეთი, 2024, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა, სპეციალური გაზეთი, 4 გვერდი.

Manana Darchashvili

Georgian Political Parties in the 2024 Parliamentary Elections (Comparative Analysis of Program Documents)

Political parties are the main axis of modern politics and a fundamental tool for establishing democracy. It represents the main source of communication between the state and civil society. The activity of political parties is especially noticeable during the election period, especially at the current stage, when Georgian political reality is facing quite significant challenges. According to the European Neighborhood Policy, broad political pluralism is to be promoted in the country, which implies strengthening the role and functioning of political parties in Georgia.

The paper aims to study and analyze the 2024 parliamentary election process in Georgia, the program documents of political parties with many important features. Moreover, it clarifies to what extent each electoral subject that has overcome the barriers is oriented towards covering all spheres of public life in its program documents, or whether it is limited and focuses only on individual elements. At the same time, the study is also focused on clarifying the extent to which a political entity offers population-specific mechanisms for solving a particular issue or public problem.

The results of a study of election promises made by political entities in the 2024 parliamentary elections showed that there arose many questions about the mechanisms for their implementation, and were considered controversial. In addition, the analysis of pre-election platforms revealed that in most cases, political entities avoided talking about specific ways to fulfill the promises set out in the program, which can be explained by the caution of political entities and the lack of public accountability.